



# საქართველო: 2024 წლის 'მეოთხე მუხლის კონსულტაციების' მისიის დასკვნითი განაცხადი

## გაგრძელდეს დაუყოვნებლივ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის დასკვნითი განაცხადი, წევრ ქვეყანაში სსფ-ს თანამშრომელთა ვიზიტის (მისიის) დასასრულს გასაჯაროებულ წინასწარ მიგნებებს წარმოადგენს. ეს მისია, რეგულარული, (ჩვეულებრივ ყოველწლიური), კონსულტაციების ფარგლებში შესრულდა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების IV მუხლითაა გათვალისწინებული და სსფ-ის რესურსების გამოყენების (სსფ-სგან სესხის აღების) მოთხოვნის, სსფ-ს თანამშრომელთა მიერ ქვეყნის პროგრამის მონიტორინგის ან ქვეყნის ეკონომიკაზე დაკვირვებისთვის არის აუცილებელი.

ქვეყნის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა ამ განაცხადის გამოქვეყნებაზე. ამ განაცხადში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის სსფ-ს თანამშრომელს, და შესაძლოა, სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს აზრს არ გამოხატავდეს. მისიის წინასწარი მიგნებების საფუძველზე წერილობითი ანგარიში მომზადდება, რომელიც, სსფ-ს ხელმძღვანელობის დასტურის შემთხვევაში, სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს განხილვისა და გადაწყვეტილებისთვის წარედგინება.

**თბილისი, 18 მარტი, 2024:** ამა წლის 6-18 მარტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიამ, ბატონი მეთიუ გერთნერის მეთაურობით, საქართველოსთან 'მეოთხე მუხლით' გათვალისწინებული კონსულტაციები წარმართა. ვიზიტის დასასრულს გამოქვეყნებული ეს განაცხადი მისიის ძირითად დასკვნებს და რეკომენდაციებს აჯამებს.

*„საქართველოს ეკონომიკამ მედგრად გაუძლო მრავალ შოკს, კოვიდ 19 ის პანდემიიდან დაწყებული. გაზრდილმა ტურიზმმა, სატრანზიტო ვაჭრობამ, უკრაინაში რუსეთის ომით გამოწვეულმა მოვლენებმა და ხელისუფლების დროულმა რეაგირებამ საქართველოს ეკონომიკაზე პოზიტიური გავლენა იქონია. სამომავლოთ, გლობალური გარემოს გაურკვეველობა, სავარაუდოდ, შენარჩუნება მიმდინარე კონფლიქტებისა და გეოეკონომიკური ცვლილებების გამო. საქართველომ მოკებისადმი მედეგობა კვლავ უნდა გააძლიეროს გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებით და ზრდის პოტენციალის გაძლიერებით, გრძელვადიანი სტრუქტურული გამოწვევების გადაჭრითა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებით. პრიორიტეტად რჩება სახელმწიფო საწარმთა რეფორმა, რაც მათგან მომდინარე ფისკალურ რისკებს შეზღუდავს და გაზრდის სახელმწიფო საწარმთა ეფექტურობას; ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერება; განათლების, ინფრასტრუქტურისა და მმართველობის გაუმჯობესება პროდუქტიულობის ამაღლებისა და ფესვგადგმული მაღალი უმუშევრობისა და ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.*

### ბოლოდროინდელი ვითარება, პერსპექტივა და რისკები

უკრაინაში ომით გამოწვეული ფინანსური ნაკადები მცირდება, მაგრამ კვლავ აღემატება ომის წინა პერიოდის მაჩვენებლებს. ისინი მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების შენარჩუნებას უწყობენ ხელს.

**2023 წელს ეკონომიკის ზრდის 7.5 პროცენტის ტემპი, ქვეყნის ზრდის ტრენდის მაჩვენებელს აღემატებოდა. ზრდას ხელს უწყობდა ტურიზმი, ვაჭრობა, მშენებლობა, და ფინანსური მომსახურება, ასევე მაღალი ინვესტიციები.** 2024 წელს მოსალოდნელია ზრდის ტემპის კლება წლიურ 5.7 პროცენტამდე. მოხმარება, რასაც თავისმხრივ ხელს შეუწყობს ხელფასების ზრდა რეალურ გამოსახულებაში, ასევე, დასაქმების ზრდა, ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი იქნება. საშუალოვადიან პერიოდში, ველით, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპი, თვის პოტენციურ მაჩვენებელს, წლიურ 5 პროცენტს დაუახლოვდება.

**2023 წელს ინფლაციამ მკვეთრად იკლო. გასული წელი 0.4 პროცენტი წლიური ინფლაციის მაჩვენებლით დასრულდა.** ამ გარემოებას ხელი შეუწყო ადგილობრივი ვალუტის, ლარის სიძლიერემ, დაბალმა სამომხმარებლო ფასებმა და მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ. საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 275 საბაზისო პუნქტით დასწია 2023 წლის მაისიდან მოყოლებული და ამა წლის მარტში, 8.25 პროცენტის დონეზე განსაზღვრა. 2024 წლის ბოლოსთვის ინფლაცია 4 პროცენტს მიაღწევს: წინა წელს დაფიქსირებულ პოზიტიურ საგარეო შოკებს ინფლაციაზე გავლენა აღარ ექნება და მონეტარული პოლიტიკაც ნაკლებად მკაცრი იქნება. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია თავის საპროგნოზო მაჩვენებელს დაუბრუნდება.

**წინასწარი გათვლებით, 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულად დაბალ მაჩვენებელზე: მშპ-ს 4.5 პროცენტზე, დაფიქსირდა.** რუსეთიდან ელექტრონული ტრანსფერების კლება დააბალანსდა საქონლით ვაჭრობის დეფიციტის შემცირებით რაც თავისმხრივ, იმპორტზე ფასების კლებამ განაპირობა. 2023 წელს მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 5 მილიარდი დოლარის დონეზე იყო, რაც ქვეყნის 3 თვის იმპორტის ოდენობას მცირედით აღემატება. 2024 წელს, საგადაბმდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ს 6 პროცენტამდე გაფართოებას ველით, რადგან ელექტრონული შემოდინებების და იმპორტის ზრდის ტემპის კლებას ვხედავთ. საშუალოვადიან პერიოდში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 5.5 პროცენტის დონემდე უნდა შენარჩუნდეს. მომსახურების ვაჭრობის ბალანსის შემდგომ გაუმჯობესებას ველით.

**2023 წელს ბიუჯეტის დეფიციტი (ბიუჯეტი მიერ გასესხებული თანხების ჩათვლით) მშპ-ს 2.4 პროცენტი იყო, თუმცა, 2.8 პროცენტის დონეზე იყო დაგეგმილი.** ეს გადაჭარბება მაღალი შემოსავლებით იყო გამოწვეული. 2024 წლის ბიუჯეტი მშპ-ს 2.5 პროცენტი იქნება, და ეს მაჩვენებელი უკვე მოიცავს იმ გაზრდელ შემოსავლებს, რასაც ბანკებისთვის მოგების გადასახადის ზრდა და ახალი სათამაშო ბიზნესის გადასახადის შემოღებით იღებს ბიუჯეტი. შემოსავლები დაიხარჯება გაზრდილ ხელფასებზე, სოციალურ დახმარებებზე და კაპიტალურ ხარჯებზე, სახელმწიფოს ვალი მშპ-ს 40 პროცენტზე ნაკლები იქნება როგორც 2024 წელს ასევე საშუალოვადიან პერიოდში.

**ეკონომიკის პერსპექტივის მიმართ, მეტწილად, დადმავალ რისკებს ვხედავთ, თუმცა გარემო მნიშვნელოვანი გაურკვევლობით ხასიათდება** როგორც ომთან დაკავშირებული მიგრანტების რაოდენობის, ასევე ფინანსური ნაკადების და გეო-ეკონომიკური ურთიერთობის ცვლილებების საკითხებზე. სავარაუდოდ, მრავალმა მიგრანტმა საქართველოში დაიდო ბინა, მიგრაციის, სავალუტო ნაკადების, ტურიზმის ტენდენციის ცვლილება ან სანქციების გაძლიერება, გეო ეკონომიკური ფრაგმენტაციის ზრდა, მნიშვნელოვან რისკად რჩება საქართველოს ეკონომიკისთვის. დროის დაკარგვა, რეფორმების გეგმიდან ჩამორჩენა, ასევე დადმავალი რისკია ეკონომიკისთვის. პოზიტიურ რისკებს შორის არის: სატრანზიტო ვაჭრობის და ინვესტიციების ზრდა, ახალი სავაჭრო შესაძლებლობები, რომელსაც ეს ახალი სავაჭრო კორიდორები აჩენს. ასევე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც ინვესტორებისთვის პოზიტიურ სიგნალს წარმოადგენს.

## პოლიტიკის პრიორიტეტი

*მაკროეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ძლიერი, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის და მდგრადობის უზრუნველყოფაზე, გაურკვეველი გარემოს ფონზე; ასევე, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე გადამწყვეტი პროგრესის მისაღწევად.*

### ფისკალური პოლიტიკა

საშუალოვადიან პერიოდში მიზანშეწონილია ფისკალური კონსოლიდაციის გაგრძელება, რაც არსებული ფისკალური წესის პირობებში საკმარისი მარაგების (ბუფერების) დაგროვების და პროდუქტიული ხარჯვის გაზრდის შესაძლებლობას შექმნის. ფისკალური დეფიციტის მშპ-ს 2-2.5 პროცენტის დონეზე შენარჩუნება, საჯარო ვალის მშპ-ს 40 პროცენტზე დასტაბილურებას გახდის შესაძლებელს. თავისმხრივ, დეფიციტის მაჩვენებელი ფისკალური წესით დაშვებულზე დაბალი იქნება და რჩება ბუფერი, რაც უარყოფითი შოკების მატერიალიზირების შემთხვევაში გამოსადეგი აღმოჩნდება. საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგია ბიუჯეტის დეფიციტის კორექტირების ზემოაღნიშნულ გზას უნდა შეესაბამებოდეს. ამავე მიზანს ემსახურება შემოსავლების ადმინისტრირების შემდგომი გაუმჯობესება და საგადასახადო შეღავათების გადახედვა, ხარჯვითი პროექტების პრიორიტიზაცია და ხარჯვის ეფექტურობის ამაღლება.

**სახელმწიფო საწარმოთა რეფორმისა და განახლებადი ენერჯის განვითარების 2022 წლის ბოლოს მიღებული სტრატეგიების განუხრელი განხორციელება, ამ საწარმოთა პროდუქტიულობის ზრდისთვის, ფისკალური რისკების შესაზღვრად და სახელმწიფო საწარმოთა მფლობელობის სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის პრინციპებთან დასაახლოვებლად არის საჭირო.**

- სსფ-სთან შეთანხმებული და 2022 წელს მიღებული რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონმა უნდა უზრუნველყოს ფინანსთა სამინისტროსთვის ყველა იმ სათანადო უფლებამოსილების მინიჭება, რაც, მას ფისკალური რისკების მონიტორინგის და აცილების, ძლიერი ზედამხედველის როლის შესასრულებლად სჭირდება. მკაცრად უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოს აქციონერის, მარეგულირებლის და პოლიტიკის წარმართვის ფუნქციები, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. საჭიროა გაძლიერდეს ძალისხმევა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესამცირებლად.
- ელექტროენერჯის ბაზარი, რომლის გახსნაც რამდენჯერმე გადაიდო, უნდა გაიხსნას. ენერჯეტიკის მხარდამჭერი სქემის დამატებითი მოცულობა სიმძლავრეზე განახლებული მოთხოვნისა და მიწოდების პროგნოზების საფუძველზე უნდა განისაზღვროს. ამასთან, ახალი სიმძლავრეების საჭიროება უნდა შემცირდეს იმ ძველი პროექტების მოცულობით, რომელთა განხორციელება არსებული კონტრაქტების მიხედვით უკვე მიმდინარეობს. ფისკალური რისკების შეზღუდვის მიზნით, ძველი პროექტები, რომელთა განხორციელება წინ არ მიდის, უნდა შეწყდეს, ხოლო სქემის ხარჯებმა არ უნდა შექმნან დამატებითი ფისკალური რისკი.

### მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა

**ინფლაციის სებ-ის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელთან დაახლოება მოითხოვს ეტაპობრივ და ფრთხილ მიდგომას პოლიტიკის განაკვეთების შემდგომი შემცირების მიმართ.** მიუხედავად იმისა, რომ საერთო ინფლაცია დაბალია, ის 2024 წლის განმავლობაში მიაღწევს სებ-ის 3 პროცენტთან მიზანს. განაკვეთების შემდგომი შემცირება უნდა იყოს

მონაცემების საფუძველზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მკაფიოდ უნდა იყოს ახსნილი დაინტერესებული აუდიტორიისთვის, რათა შეძლოს მონეტარული შემსუბუქების ტემპთან დაკავშირებული მოლოდინების მართვა.

**გაცვლითი კურსის მოქნილობის შენარჩუნება და რეზერვების დაგროვება უარყოფითი გარე შოკებისგან თავის დასაცავად არის საჭირო.** გარე შემოდინების კლების და სარეზერვო დაფარვის სასურველზე დაბალი მაჩვენებელზე შენარჩუნების პირობებში, რეზერვების შემდგომი, საშუალების მიხედვით, დაგროვებაა საჭირო, შემდგომი ბუფერების შესაქმნელად. სებ-ი სავალუტო ბაზარზე მხოლოდ ბაზრის ზედმეტი რყევების თავის სასაცილებლად უნდა ჩაერიოს.

**ეროვნული ბანკის მმართველობისა და დამოუკიდებლობის გაძლიერება აუცილებელია მონეტარული პოლიტიკის სანდოობისთვის.** ამასთან დაკავშირებით, სებ-ის კანონში უნდა შეტანილი იქნეს შემდგომი ცვლილებები: 1) უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში არაადმინისტრაციული წევრების უმრავლესობა, 2) დაზუსტდეს და განმტკიცდეს ადგილმონაცვლეობითი წესი; ასევე საბჭოს წევრების კვალიფიკაციის კრიტერიუმები, და 3) მართვის არსებული საპრეზიდენტო მოდელი შეიცვალოს კოლეგიალურ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებული მართვის მოდელით.

#### **ფინანსური სექტორის მდგრადობა**

**საბანკო სისტემა კარგად კაპიტალიზებული, მომგებიანი და ლიკვიდურია, თუმცა კვლავაც კონცენტრირებული და დოლარიზებულია.** მაღალი გაურკვევლობა სავალუტო შემოდინებისა და გლობალური ფინანსური პირობების ირგვლივ, სესხის ზარალის ადეკვატური რეზერვებისა და კაპიტალის ბუფერების შენარჩუნებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციალურ ზომებს იყენებს კონცენტრაციისა და დოლარიზაციის რისკების შესარბილებლად, ამ სტრუქტურული საკითხების გრძელვადიანი მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ საბანკო სისტემაში კონკურენციის გაუმჯობესებით და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოების გაძლიერებით, რაც ხელს შეუწყობს სტაბილურ ზრდას და სტაბილურ ინფლაციას.

**მუდმივი სიფხიზლეა საჭირო ფინანსური სექტორის რისკების მიმართ, მათ შორის კაპიტალის შემოდინების, ვირტუალური აქტივებისა და სანქციების მიმართ.**

ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერებისა და ციფრული ბანკების სათანადო ლიცენზირება, რეგულირება და ზედამხედველობა მოითხოვს ძლიერ AML/CFT კონტროლს ფინანსური პასუხისმგებლიანობის, რეპუტაციის და ქცევითი რისკებისგან დასაცავად, ტრანსსასაზღვრო სავალუტო და კრიპტო ტრანზაქციების დიდი მოცულობის გათვალისწინებით.

#### **სტრუქტურული რეფორმები**

უფრო ძლიერი, მეტად ინკლუზიური და სამუშაო ადგილებით მდიდარი ზრდა განათლების, პროდუქტიულობის, ინფრასტრუქტურისა და მმართველობის გაზრდას მოითხოვს. სწავლებისა და ტრენინგის ხარისხის ამაღლება და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა, მათ შორის მიწის რეგისტრაციის და მართვის გაუმჯობესებით, შეიძლება დაეხმაროს ფესვგადგმული მაღალი უმუშევრობის და სოფლის სამუშაო ძალის დაბალი მონაწილეობის პრობლემის აღმოფხვრას. ტრანსპორტში, ლოჯისტიკას და ენერგეტიკაში ინვესტიციების პრიორიტეტიზაცია სავაჭრო ხარჯების შემცირებას, ვაჭრობის დივერსიფიკაციას და რეგიონული კავშირის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეგიონში და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის კანონის უზენაესობისა და კორუფციის არარსებობის კუთხით ლიდერია, ბოლო

წლებში მმართველობის მაჩვენებლები გაუარესდა. მმართველობის სტანდარტების და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად, საქართველომ უნდა გააძლიეროს სასამართლო სისტემა და გააძლიეროს ანტიკორუფციული სამსახური.

\*\*\*

*სსფ-ს მისიის წევრები მადლობას უხდის ქვეყნის ხელისუფლებას და კერძო და საჯარო სექტორის მრავალ წარმომადგენელს სტუმართმოყვარეობის და გულახდილი განხილვებისთვის.*

## ცხრილი 1. საქართველო: ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების ნაკრები, 2022–26

	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტობრივი	შეფასება	პროგნოზი		
ეროვნული ანგარიშები და ფასები	(ცვლილება წინა წელთან შედარებით; ან რაც მითითებულია)				
რეალური მშპ	11.0	7.5	5.7	5.2	4.7
ნომინალური მშპ (მილიარდი ლარი)	72.9	80.6	88.7	97.7	106.2
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	25.0	30.7	32.9	35.6	38.3
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ათას აშშ დოლარში)	6.8	8.2	8.8	9.6	10.3
მშპ დეფლატორი, პერიოდის საშუალო	8.2	2.9	4.1	4.7	3.8
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის საშუალო	11.9	2.5	2.6	4.2	3.4
სამსომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლო	9.8	0.4	4.0	3.7	3.0
	11.0	7.5	5.7	5.2	4.7
მთავრობის კონსოლიდირებული ოპერაციები	(მშპ-ს პროცენტი)				
შემოსავლები და გრანტები	26.5	27.5	28.1	27.7	27.5
მშ გადასახადები	23.7	24.5	25.4	25.3	25.3
მთლიანი ხარჯები	29.0	29.8	30.6	29.8	29.7
მიმდინარე ხარჯები	21.4	22.2	23.0	23.2	23.2
არაფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა	7.6	7.6	7.6	6.6	6.5
წმინდა დაკრედიტება/სესხება (GFSM 2001)	-2.6	-2.3	-2.6	-2.2	-2.2
შესწორებული წმინდა დაკრედიტება/სესხება 1/	-3.1	-2.4	-2.5	-2.3	-2.3
საჯარო ვალი	39.2	39.1	38.8	37.7	37.5
მშ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული	29.4	28.4	27.0	25.5	24.3
ფული და კრედიტი	(ცვლილება წინა წელთან შედარებით; ან რაც მითითებულია)				
კერძო სექტორზე გაცემული კრედიტი	3.4	16.5	15.1	12.2	8.7
მუდმივი გაცვლითი კურსით	12.1	17.1	16.5	11.6	8.2
ფართო ფული	11.0	14.9	12.3	12.3	11.3
ვალუტაში არსებული დეპოზიტების გარეშე	22.9	26.9	12.6	12.7	11.7
დეპოზიტების დოლარიზაცია (მთლიანი დეპოზიტის)	56.1	47.0	46.8	46.5	46.3
კრედიტის დოლარიზაცია (მთლიანი კრედიტის წილად)	45.0	44.5	44.1	43.7	43.3
კრედიტი მშპსთან შეფარდებით (პროცენტი) 2/	60.3	63.6	66.5	67.7	67.7
საგარეო სექტორი	(მშპ-ს პროცენტი; ან რაც მითითებულია)				
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მილიარდი დოლარი)	-1.1	-1.4	-2.0	-2.1	-2.1
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	-4.5	-4.5	-6.0	-5.8	-5.5
სავაჭრო ბალანსი	-20.4	-18.8	-19.8	-20.0	-20.1
ვაჭრობის პირობა (ექსპორტ იმპორტის ფასების)	-2.3	5.4	0.5	-0.2	0.1
მთლიანი საერთაშორისო რეზერვი (მილიარდი აშშ)	4.9	5.0	5.0	5.4	5.6
სსფ-ს რეზერვების საზომის (IMF's ARA metric) მიმართ 3/	102.3	100.3	96.1	99.1	100.0
მთლიანი საგარეო ვალი	80.5	68.3	65.1	61.4	57.1

წყარო: საქართველოს ხელისუფლება; და სსფ-ს თანამშრომელთა გამოთვლები

1/ შესწორებული წმინდა დაკრედიტება/ სესხება = წმინდა დაკრედიტება / სესხება მინუს ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხი.

2/ საბანკო სექტორის მიერ კერძო სექტორზე გაცემული კრედიტი

3/ სსფ-ს საზომი რომელიც განვითარებად ქვეყნებში მთლიანი საერთაშორისო რეზერვის ადეკვატურ დონეს განსაზღვრავს.